

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2019 წლის 26 ნოემბერი

ქ. ახალქალაქი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ნოემბრის №21 დადგენილების „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაშენის, კუმურდოს, ხავეთის, აფნასა და დაბნას ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ნოემბრის №21 „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაშენის, კუმურდოს, ხავეთის, აფნასა და დაბნას ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილება (www.matsne.gov.ge, 13/11/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.141.016296)

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნაირი ირიციან

